№ 10 კვირა, 11 მაისი. | ერთი წლით ჟურნალი ღირს 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით 1 მ. 25 კ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Мухранская 12, для журнала „ЛАХТИ". | ფასი 5 კაპ. № 10

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ—სურათი ენდოგუროვისა.

## ივერიის ქალწული

ვინ არის ესე ჟამსა ციისკრისას,
ციური გრძნობით გამშვენებული?
ჟამსა მწუხრისას—კაშკაშა მთვარე—
როდესაც ამკობს ვარსკვლავთ კრებული!..

ის არს—ასული ივერიისა,
ციური გრძნობით გამშვენებული
და მეც მას ვეტრფი და მეც მას ვუმღერ
მისი ხატებით აღტაცებული!..

გ. ლეონიძე.

## ა ნ კ ე ტ ა

(რუსულიდან)

როდესაც ქართველმა ჭაბუკმა განიზრახოს „მათუშქაზე“ შეუღლება, უპირველესად სახელდახელო „გორკაა“ საჭირო და ჯვარის წერა აუცილებლად რუსულად.

თუ შვილი მამრობითი სქესის გაუჩნდეთ, სახელად ეწოდოს ფადეი, გარდეი ან ტიხონ. თუ მდედრობითი სქესისაა: მატრიონა, აგაშკა და დუნკა.

საჭიროა აგრეთვე საქმელების გაოცვლა და სამზარეულოს გარდაქმნაც. შუაზე ცეცხლის მაგივრად კარგი რუსული ფეჩი (ფურნე), ვინაიდან დღისით საუკეთესოდ იხარშება ბორში ძეავე კაპუსტით და ღამე კიდევ, ნამეტნავად ზამთრობით, სასიამოვნოა დასაძინებლად.

თუ მამა-კაცმა თონის პური ან მწვანილი მოიტანა ოჯახში, პირველისაგან სურავანდია მოსალოდნელი, მხოლოდ მეორე ვირების საკვებია.

რაც შეეხება ბავშვების სამშობლო ენაზე აღზრდას, ამაზე ჩვენც ვეთანხმებით მოწუწუნე „კეკელკებს“, რომ დედამ აუცილებლად საკუთარი ენა და ზნეჩვეულება შეასწავლოს ინოროდცებს „გასაკულტურებლად“.

გარდა ამისა, თუ ვინიცობაა ქალმა ქმარი აითრიოს რუსეთში, ისეთი „სამარცხვინო“ გვარები, როგორც მაგალითად: თევზაძე, შევარდნაძე, მგელაძე, დათუნაშვილი, გაფრინდაშვილი და წვერავა გარდაიქმნას პირდაპირ: რიბაკოვ, სოკოლოვ, ვოლკოვ, მედვედიევ, ლეტუნოვ და ბარადოვ.

მუშა მექია.

## ჩემი სიმღერა

ქართველი ვარ და
ქარულად ვმღერი,
არა, არ მინდა
სხვა მე, სიმღერა;
არა არ მინდა
სხვისა ჰანგზედა
ჩანგის მომართვა –
მაზე დამღერა.

—

როცა დარდები
გულს მომაწვება,
მიწყებს ცხოვრება
ტანჯვა-წვალებას,
მაშინ ავიღებ
ჩემსა ჩანგსა მე
დავმღერ ცხოვრების
უკულმართობას.

—

ვერ შემაშინებს
ვერვის მუქარა,
დაე რო მომკლან
მიზამენ მე რას?—
მაინც განაგრძობს
ჩანგი ისევე
მშობლიურ ჰანგზე
ჟღერა-სიმღერას.

—

და სანამცა ვარ
ქართულად ვმღერი,
არა არ მინდა,,
სხვა მე, სიმღერა;
არა, არ მინდა,
სხვისა ჰანგზედა
ჩანგის მომართვა—
მაზე დამღერა.

ი. მომავალიშვილი.

## გურული სცენა

ზოგი ერთი გასათხოვარ ძღაბებთან ძაან უკაცრავათ ქე ვარ, მარა ზოგიერთას ჭკუა-გონ,ებას დეერია ხვლიკი.

მოგროვილან მთელი ჩვენი მუხუროს ძღაბები კვირე დღეს, ივანიკასა, დოუუერიათ ხელში გიტარე და მოლექსამდენ და ამღერებდენ.

**პირველი:** უნდა წავყვე დოხტურსაო,
მშვენიერს და მორთულსაო!

**მეორე:** უნდა წავყვე სტუდენტსაო,
კოხტა-ლამაზ სულ თეთრსაო!

**მესამე:** უნდა წავყვე უჩიტელსა,
თმა ქოჩორ და სულ-გრძელსა!

**მეოთხე:** უნდა წავყვე ჩინოვნიკსა,
ჩვენ მეზობლის ნიკოს შვილსა!

**მეხუთე:** თუ შეგვაძლიეს მუშა კაცებს
თავი მევიკლათ და მით ავცდეთ!

**ყველანი:** მაინც არ წავყვეთ მუშასაო,
რო უქმროთ დავრ ჩეთ სულ
თლათაო.

**მეექვსე:** საქამდე გვეღირსება ამ ფერი ბედია,
ჩვენ-კი გავხდებით მგონი ბებია.
ყველამ მოვნახოთ ჩვენ-ჩვენი
ტოლია,
რო დიდხან არ ვქამოთ, ჩვენ
შინ ღომია...

დედავ!.. შენი მამის სული ვაცოხონე შენი... ღმერთო მომკალი. მაგენი მუშის შვილი არ არიან თუ?!. ამ ლექსაობაში მე ქე ვიყავი ღობეზე აყუნჭული გაყინულ სკვინჩასავით. წამოვდექი გაცოფებული კაცი,,—ვიფიქრე თუ ამდენმა გოგომ, ყველამ თავი მეიწამლა, ჩვენ მაინც აშოვარდნილვართ აი მუშა ხალხი! ყველამ უნდა ვაცდინოთ თითო დღეი დამარხვის დღეს, მაგი ზარალია, აბა რა მაგათი აფორიაქებაა.

მოვედი ჩემსას გადარეული კაცი. დედავ, ღმერთო, შენ ჩეიბარე ჩემი სული. აქანე გეევგონე, მარა რა გეევგონე. მოგროვილან მთელი ჩვენი მუხუროს ბიჭები და გოუმართავთ სოვეტნიკობა. ერთი ამბობს: თუ ჩემი ცოლი ნასტავლი არ იქნა, მაგას რავა ვაჭმევ ღომსაო. მეორე ამბობს: ჩემი ცოლი ნასტავლიც ქე უნდა იყოს, ლამაზიც და მაღალიც. ფული და ბზითვი ხომ უთვალავი უნდა მოყვესო. ღმერთო-კი მომკალი, რავა არ გავსტკლინდე გულზე და რავა არ მომივიდეს კუჭი, რომ აი გლახაც ამას ამბობს. არა ერთი გამაგებინა რაღაით მოაწონოს თავი. ეგებ იმითი რომ, სააღდგომოთ ჯორა მოზვერი, რომ გაყიდა

და ხუთ მანათიანი ჩოხა ჩეიცვა და დაჟანგებული ყამა ჩემოიპორწიალა? ვაი, შენ ჩაკეტი შენს პატრონს, თუ მაგი ჭკუისა ხარ მართლა!

ახლა მე თუ მკითხავთ, ჯობია ყველამ თქვენ-თქვენი ჭკუის მონახოთ, თუ არა ქე ამობერდებიო, უცოლოთ და უქმროთ და მერე მიიყარეთ კაკალი!.. ა. ძაძამია.

# დასელის სიზმარი

(მიბაძვა)

ერთხელ, ჩვენ ში, ერთ დასელს
შიშით გამოელვიძა,
,,საკვირველი არ არის,
მას ცუდი რამ ესიზმრა'':
გაშხლართული საწოლზე
შიშით კრეჭდა კბილებსა,
ვით ლუარსაბი დარეჯანს
აპყეტავდა თვალებსა.
ნეტავ რამ შეაშინა,
ნეტავ რა დაესიზმრა?
იქნებ სიკვდილის ჩონჩხი
მას ცელით მოელანდა!
ან უფსკრულთანა მდგომი,
უფსკრულს ეხეჩებოდა,
საბრალოს კი მშველელი
არვინ ევლინებოდა
მაშ რაღამ შეაშინა
გულს, შხამი რამ ჩაასხა?
ჰოი, საკვირველებავ,
ძილში მან სულ სხვა ნახა!
საწყალს მებრძოლი თავი
სასიკვდილოთ სდომია,
საქართველოს მიეღო,
თურმე ავტონომია.

შ. ქვრივიშვილი.

# კითხვა-პასუხი

— ვინ არიან ჩვენს კურთხეულ საქართველოში მესამე დასელები?

— ჯერ სომხები, მერე რუსები, აისორები და სხვა ერები—გარდა ქართველებისა.

— რა საშუალებით შეუძლიან ჩვენ გლეხებს იხსნან თავი უკიდურეს გაჭირვებისაგან?

— მიწები გაყიდოს მანთაშევარამიანცზე და ბოგანო გახდეს.

— ვინა ჩემულობს სოციალის ტობას?

— მაძღარი და მდიდარი კაცი.

— როგორა ვსცეთ პატივი ჩვენს ძველ მოღვაწეებს და როგორ მოვიხსენიოთ იგინი?

— ლექციები ვიკითხოთ, დემაგოგიას ხელი შეეუწყოთ—იგინი ვლანძღოთ და ჩვენი თავი შევაქოთ.

— როგორ აღვნიშნოთ ესა თუ ის სინამდვილე?

— სიცრუით, მოქარგულის ენით და ლამაზი ფრაზებით - სიტყვა ბანზე ავაგდოთ.

— როგორ მოვიქცეთ, რომ მამულიშვილი და ჭეშმარიტი ქართველი არ გვიწოდონ?

— ეცადეთ, რომ სიტყვა „საქართველო“ არსად წამოგცდეთ, და როდესაც „ნაფიც“ დასელს გაეცნოთ, არ უთხრათ, რომ თქვენ ქართველი ხართ. დ. მელია.

# სულის კვნესა

როდესაც ჩემდა გულის დამწველად
მწარე ნადველი გრძნობის მესერავს,
მაშინ ძალ-ღონის მოსაგრებავად,
წუნარად ვდადინებ ჩემსა სიმღერას.
რაც შორს მიმფრენს ფიქრები კრული,
უცბად ვცოჯდები მშობლიურ კერას
და რომ გავკურნო ჩემიგე წყლული,
მაშინვე ვიწყებ ჩემსა სიმღერას...
და ეს სიმღერა მწარე მოთქმაა,
გულის სიღრმიდან ამონაკვნესი,
ტანჯულ სულისა მკვნესარე ხმაა
ტრემლში ნადნობი, ტრემლში ნადესი! .

პ. ქარქაშაძე.

## გუჩულის თავ-გადასავალი

— კოსანდილეს გამარჯობა!

— ღმერთმა გაგიმარჯოს გლახუნ. განგებაი მინდოდა კაცო შენი ნახვა; რაფერაა იმის საქმე გზაის შესახებ რომ უჩივოდი ვარდენას?

— ნუ მკითხავ თუ კაცი ხარ, რაფერ უნდა იყოს. სამაგალითო პატიოსანი კაცია აი ჩვენი პრიტავი, თვარა იცოდე გლახათ წამივიდოდა საქმე. მისულა, ილაკრეს გძელი ცეცა რომაა, ლოლიეი დაჯღანვია, ჩამოკიდია კისერში, შენი ჭირიმე მომეხმარე რაცხაო, რაცხაფერათ მიეშველე ვარდენასაო...

— კი მარა, რა მოხელე ნაჩალნიკი იყო აგი გოგო?

— რა მოხელე იყო და ერთი რომ ნათესავია ვარდენაის და მეორე პრისტავთან მისავალი საქმე იშონა, მეტი რაღა უნდოდა?

— ვითამ ქია ამფერი?

— ყველაი ამფერია ახლანდელ დროში, ჩემო ძამიავ და იგი მართლაც ამფერია... დაგდებულა იქინეი გომახურს, ვითამ ვეკერავო და არის ყოველ ღამე რაკუნი და ბრიგინ-ბრიგინი მის კარებზე.

— ოი, დასწყევლოს ღმერთმა მისი თავი და მისი რაკუნი, მარა შენ რას შობი ახლა?

— რა მაქ საქნელი, მას ტყუილაი გუუარა დაჯღანვა და... მიქიაშვილი ხომ არ იყო ციკაით, რომ საქმე გიეკეთებია. ასეც რომ არ ყოფილიყო ფხეკას მუადენდი ოზურგეთს ნაჩალნიკთან. ტყუილაი რომაა კრიპუტი კაცია ახლა დამიდნა ენაზეო იტყვი... და ამ კატაჯვარაით განჩოყვილმა ციცამ კი დამაზილოს მისი ფოლო თუ ვერ გადუუხადო სამაგიერო. ოკიბ.

## ზოგიერთებს.

უსაქმობის მეთაურო!
ლესე ენა, ენა ლესე;
მახვილი და მოხდენილი
ყოველ კუთხეს ჭორი სთესე.
სხვის თვალებში ძებნე სბეწვი,
თქვენ თვალებში იყოს დვირე;
ქუჩის პირას ყურ მოკრული
ხალხში მედგრად დაიყვირე.
ენა ზევით ამოსწიე,
ეგებ დიდად დაიწელოს;
აცხე, აცხე, აცხე ჭორი
ეგებ მით რამ გულს ეშველოს...
ქონით გამოტენილ თავზე,
გადაიძრე ერთი ტყავი;
ეს იქნება ჭორის გუდა
საუცხოვო სანახავი.
აიკიდე ზურგზე და ჩვენ
მოგაძახებთ ,,ბარაქალა''—
მოლაანხუნდს გამოგიწერთ
რომ გიკურთხოს თავის ქალა...

ირ. ტოფაძე.

## გაზაფხული მახარეს!

ძმაო, რას დაღონებულხარ?!
ასე მომძახა გიომა,
ხომ ხედავ წამოგვიბერა,
საგაზაფხულო სიომა!
შუბლი გაშალე, ილხინე,
გაგართობ ყვავილებითო,
მრავალს დაესწარ გაზაფხულს,
შვილებით, ყმაწვილებითო!
აბა შეხედე მინდვრებსა,
მწვანეა ხავერდისაო,
ახლა დრო არის მღერისა,
შენ კი ცრემლები გდისაო!
იმაზე მაინც დაფიქრდი,
შენ ჩემო კარგო ძიაო,
ქვეყანა დღესასწაულობს,
ლამაზი მაისიაო!.. შამაგა.

## პატარა საუგარი

— კამარჯობა შენი ძმისაგ?
— დმერთმა კაგამარჯოს, ჩემო კარგო.
— თუ არა ვცდები, შენ „ჩორტ ზნაუტ“ უნდა იყო „მთრახში“, რომ შეკეკუნებ ხანდისხან?
— დიახ მე კახლავარ.
— მერე რაშ დაკადონა ასე?
— ეჭ, ჩემი კარგო, დადონება კი არა შენ „ჩორტ-ზნაუტს“, მიწა კახეთქოდა ის ურჩეგნოდა. ამის წინეთ ძრიელ მოწეენიდი ვიეკეი, თანაც მშოდა, ქუჩის ნაპირს შეკროვიდი არამზადა სალხი დაყინახე და მიეკედი მთთან. რა კიეკეს, რომ მე სადღაც ეზმა ხაგდი. შეშეხვეწნენ, სიხუქარს მოგეშთ და ჩვენი სისხლის მსმელი „კოდარა“ კამეჯირითეო. ვიფიქრე ფულს თუ მოგეშეს შეგ ეს მინდა მეთქი; დაკატანე ძალა თაგის ხოგოს, კამოვაცხვე ლანძღვა „კოდარას“ შესახებ და სიხუქარიც ავიღე. მე ცოდიდმა ის არ ვიცოდი, თუ რა ძნელია სამართლის დაჩრდიდეა და ასეც მოხდა. „მთრახმა“ არ დამიბეჭდა, ირონიულად მაპასუხა, მაგრამ ამის ვინ დაკეტბდა. მოგარდნენ ჩემი მწუალობლები და სულს მარომეკენ. უკან დაკეგებრენე სიხუქარიო. ის კი არ იცინ ამ დადოცვიდეებმა, რომ ადებული ფული შემომეკეკმა და ბაბის არის ჯდეკში ჩავარდე

— ნუ კეშინიან ძმიაკ, მე კიშუამდგომლებ „დახტის“ წინაშე, ის კანკეურნაკ. მხოდდ სიმართდე .. სიმართდეს ზურგს ნუ აუქცევ.
— შენ ვინა ხარ, ამ რიგად კული, რო შეეტკეკ ჩემზე?
— მე ის „კოდარა“ ვარ, ვის წინაშეც შენ მოგინდომებია კამოდაშერება.
— ოი, სირცხვიდო! ამედია, მაპატიებთ... შეეცდი... ფულმა... ფულმა ..
— არა უშავს რა,—ფულს ეველაფერი შეუძლიან! კოდარა.

## ოსეფა და საქულა

**ოსეფა.** მეცინება საქულჯან,
სიმართლე როგორ ფასობს,
„მშაკი“ და „ჰორიზონი“
თუ როგორ ოინბაზობს.
ჩვენ ცამდის გვამართლებენ,
ამტყუნებენ ვრაცებსა,
ყველაფერს თავს ახვევენ
თავის გულის ნადებსა.
ამაზეა ნათქვამი
ანდაზა ვრაც-ქართული:
„ენე ჩემი შენ გითხარი
და მოგიკალ მით გული“.

**საქულა.** ოსეფ, განა არ იცი
სომხები რას ჩადიან?
საცა ძალა არა აქვთ,
იქ ხრიკებით გადიან!..
სიღნაღის უპრავაში
არჩევნები ყოფილა
და ქალაქი ახპერჯან
ორ უბნად გაყოფილა.
პირველ უბანს ყოლია
345 სომეხი ცენზიანი,
მეორეში ყოფილა
550 ვრაცი ქონებიანი.
პირველში არჩეულა
ცხრა სომეხი ერთხმათა,
მეორეში გასულა
ექვსი ვრაცი ჩლენათა.

**ოსეფა.** ეს ხომ აშკარა არის,
რომ ოინი მომხდარა
და ვრაცები სომხებთან
ველარაფერს გამხდარან.
ეს „მშაკი“ კი ეშმაკობს
და ამტყუნებს ვრაცებსა—
შოვინისტებს ეძახის
პამპულა ზარმაცებსა.
კიდევაც ემუქრება:
—ბევრს ნუ ლაპარაკობთო
რომ აღარაფერი გაქვთ,
რიღათი ამაყობთო?!.

**საქულა.** განა, ოსეფ, ვერ მიხვდნენ,
ვერ მოვიდნენ გონზედა,
ენიაზებმა გაჰყიდეს
საქართველო გროშზედა.
ქეიფში და ღულუკში
წამოიდეს ვალია
და სანაცვლოდ კი შერჩათ
ძველი ჩოხა-ხმალია.
განა ჩვენი ბრალია
რომ ბევრი გვაქვს ქონება?
ეგენი რომ ფანტავდნენ,
ჩვენ ვიხმარეთ გონება.
ნელ-ნელ ვიყაირათეთ,
შევაგროვეთ ფულები,
ბედოვლათებს დავცინცლეთ
სახლი და მამულები.
ყველას ასე მოუვა,
ვინც ჭკუა მსუბუქია
საქმით არას აკეთებს
და სიტყვით ქარ-ბუქია.

**ოსეფა.** აღა, საქულ, კითხულობ
ვრაცების გაზეთებსა?
სხვა გაზ ეთში ვინ ნახავს
მის მინავგარ ამბებსა?..
ერთმანეთსა ლანძღავენ,
თავი მოაქვთ დიდათა,
მერწმუნე კი სუყველა
არა ღირს ერთ ჩირათა.
პარტიებათ დაიყვნენ
საქმეს სწყვეტენ ომითა,
საქართველოს ღუპავენ
ერთმანეთის მტრობითა!..

პეტრუშა.

# მესტვირული

(საჩხერესთვის)

ხელში ავიღე ქამანჩა,
უნდა ჩავბერო სტვირსაო
მას ვათქმევინებ სიმართლეს
,,გმირებს'' ავადენ ბდღვირსაო.
თუმც, რომ გამიგონ ვინცა ვარ,
პირში ჩამჩრიან ჩხირსაო,
თუ მოახერხეს, ქეც მცემენ,
ამოიყრიან ღდინსაო...
პირველათ ვეწვევი ,,გამგეს''
სალამსა მივცემ დიდსაო,
პრასის ,,მედალსა'' მივართმევ
(ხუთასიანი ღირსაო).
ვკითხავ თუ ასე ხანგრძლივად,
რათ მისცემია ფიქრსაო
(,,ნაროდნი': უნივერსიტეტს
შენობა მისცა, ქვისაო,
საქმის წინაშე ამაყობს,
არ ეშინია, თრთისაო).
სხვებიც ხომ ბევრსა ჰყვირიან,
ძალას ატანენ თავსაო,
თუ გაუსწორე ცოტა რამ
დაგიძახებენ ,,ხამსაო''.
კრებაზე აგიკრძალავენ
,,მხურვალე'' სიტყვის თქმასაო,
თუ მოისურვე კამათი,
გვერდში წაგკრავენ რქასაო,
ზურგისა მოსამაგრებლათ
ყვავ-ყორნებისა ლაშქარი
მზათ შეკრებილი ყავსაო.
მერე ვეწვევი შავ-წვერას
კაკარდოსანსა კაცსაო,
ჯერ შეკახურებ და მერე
თან მივაყოლებ ,,ლახტსაო''.
ვკითხავ თუ ასე ძალუმათ
რათ ემტერება ბატსაო,
იხვის სინსილა გააწყო.
ინდოურს აძრომს ტყავსაო.
ღვინაზა და გომიჯისთვის
ცალკე ,,პუტნიკ'' ყავსაო,
შეხარის და შეტრფიალებს
უცდის და ელის ხმასაო.
მისთანა კაცი რად უყვარს
არ „ამოიღებს“ ხმასაო?
(თუ ჭკვიანათ არ იქნება
სულ ვაწყევლინებ თავსაო).

სიკინვალა.

# რ ე ვ ი ზ ი ა

ამას წინედ უცაბედად
„შხანკოლაი'' ვინახულე,
გურიაში მივდიოდი
ჩემი აზრი გაუმჭილე.
რა კი დამრთო იმან ნება,
(რევიზიის გაკეთება)
მეც გავსწიე ჩოჩხათისკენ
წინ კ—ია შემეგება.
არ მაცალა მან თვით მითხრა:
,,ჯამაგირი მომისპესო,
კარგისათვის შენს კ—იას
მეგობრებმა ეს უყვესო
მაგრამ მე ბედს არ ვემდური,
მუდამ კი ვარ მაძღარიო,
სადაც წავალ პატივს მცემენ
და ვსუქდები ვით ღორიო''.
მეტი სიტყვა არ ვაცალე,
ზურგზე ,,ლახტა'' გადუჭირე,
დროც არ მქონდა შეჩერების,
ხაჯალიას გავეშურე.
აქ წინ შემხვდა ნაცვლიშვილი,
გასპარიანცის მეგობარი,
ღვინით იყო გაჟღენთილი
ეს ვერანა უტიფარი.
ხალხში ნდობა რომ დაკარგა
სულაც იმას არ ნაღვლობდა,
გასპარიანცი არ ყავდა
იმას სწუხდა, მას დარდობდა.

ხელოს-ძმა.

# წითელი კაბა!

(ხურათი)

— დედა, როდის მოვა ჩვენი სანდლო? — შეეკითხა პატარა ქეთინო დედას, რომლის კალთაშიც ჩამჯდარიყო და გაფაციცებით ადევნებდა თვალს წინდის ჩხირებს, რომელიც მართას ეჭირა ხელში და ჩქარსა ჰქსოვდა.

— მალე გენაცვალოს დედაი, — ალერსით უთხრა მართამ და ერთი მაგრათ ჩაჰკოცნა ეუეუნა თვალებში, — ისეთი ,,წითელი კაბას'' მოგიტანს, რომ შენ ტოლებს არავისა ჰქონდეთ...

— მართლა? — გახარებული წამოიძახა ქეთინომ. სწრაფლ გადმოხტა დედის კალთიდგან და სირბილით გაქანდა თავის ამხანაგებთან, რათა ეხარებინა დედის ნათქვამი. — მართა სიამოვნებით შეჰყურებდა მიმავალ საყვარელ შვილს და გულში სიხარულსა ჰგრძნობდა.

— ღმერთო დიდებულო და ღვთისმშობელო მარიამო, შენ იყავი მფარველი ჩემი ორი ობოლი შვილისა, გამიზარდე და მიკოცხლე დიდხანს, — ჩაილაპარაკა მართამ, — ჩულქი გვერდზე გადასდო და სწრაფლ ფიქრის სამყაროს ამოჰყო თავი, — მას წარმოუდგა თავის თხუთმეტი წლის სანდრო თვალ-წინ, იგი უკვე დავაჟკაცებულიყო და წვერ-ულვაშიანი მოსულიყო. თავის საკუთარი სადურგლო გაეღო და ქალაქში მდიდრათ ცხოვრობდა. ეხლა დედას და დას იპატიჟებდა იქ საცხოვრებლად.

მეზობლები დანატროდნენ ამ ბედნიერ დედას, და ცოტა არ იყოს შურის თვალით უყურებდნენ ქვრივის ასეთ გამჭრიახობას, რომ შვილი გზაზედ დააყენა. მართა მართლაც, რომ საშინელი მშრომელი დედაკაცი იყო და სრულიად არ იშჩნევდა ქვრივობას. ,,მართალია უვაჟკაცო სახლი ბნელიაო'' — იტყოდა ხოლმე მართა. მაგრამ, სამაგიეროდ ღმერთმა სანდრო კარგი ნუგეში მომცა, გაიზრდება და ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფსო. — ამ ფიქრთა

მორევში ცურავდა მართა, როდესაც მისმა ქეთინომ გულზე ხელები შემოხვია და მხიარულად ჩასძახა ყურში.

— დედი, დედი, ვიღაცა კაცი გკითხულობს,—მართამ თავი მაღლა ასწია და დანახა წინ მდგომი სოფლის გზირი,სწრაფლ წამოხტა და მოკრძალებით თავი დაუკრა.

— უკაცრავოდ, ვერ დაგინახეთ.

— არაფერი უშავს, არაფერი,— უთხრა გზირმა,—ერთი თუ შეიძლება ცოტა ხანს გაისარჯეთ, კანცელარიაში წაბძანდით მამასახლისი გიბარებთ.

ამის გაგონებაზე მართა ცოტა არ იყოს შეკრთა, რადგან იცოდა, რომ აგერ რამდენიმე ხანია მამულის ,,ნედიმკა'' არ ჰქონდა გადახდილი, და დარწმუნებული იყო, რომ ამიტომ იბარებდნენ.

— რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე,—დაიწყო წუწუნი მართამ,— რომ არა მაბადიარა, რითი გადავიხადო ხარჯი. აი, ეხლა თუ მომივიდა რამე, გავყიდი და სულ ერთიანად გადავიხდი; ხელმწიფის სამსახურს ვინ გაექცევა,— უთხრა დაღონებულმა მართამ.

— არა, მაგისთვის არ გიბარებენ, —მგონი შენ სანდროსაგან ქაღალდი მოსულა და უნდა ჩაგაბარონ, — უთხრა გზირმა მშვიდათ.

— ქაღალდი, სანდროსაგან?!— წამოიყვირა უნებურათ მართამ და სიხარულის ღიმილმა გაურბინა სახეზე, — მაშ ეხლავე გიახლებით,— დაუკრა თავი გზირს და სახლისკენ გაექანა...

მართამ საჩქაროთ გამოიცვალა კაბა, თავშალი მოიხვია და წასასვლელად მოემზადა.

— ქეთინო გენაცვალოს დედი, —უთხრა შვილს,—შენ სახლს ყური უგდე და მეც ეხლავე მოვალ.

— დედილო, წითელ კაბას მოგიტან,—შეკითხა ქეთინო დედას,— ჰო შვილო, სანდროს გამოუგზავნია, —და ამ სიტყვებთან სწრაფლ გავიდა გარეთ.

ვიდრე დედა დაბრუნდებოდა, ქეთინო ერთ ადგილას არ ჩერდებოდა და მალ-მალე ქუჩაში იყურებოდა. „ეხლა დედა წითელ კაბას მოგიტანს“—ფიქრობდა ქეთინო და სიხარულით, ხან ტაშს შემოჰკრამდა, ხან ცალ ფეხზე დახტოდა—ერთი სიტყვით ქეთინოს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

კარგა ხანი გავიდა, მაგრამ მართა აღარა ბრუნდებოდა და ქეთინოს მოთმინების ფიალა ევსებოდა და უფრო ემატებოდა სურვილი წითელი კაბის ნახვისა.

უეცრივ გაისმა საშინელი ტირილი და სახლში შემოვიდა ყვირილით მართა, რომელსაც თმები გასწეწოდა და თავბირი დაეკაწრნა.

— ვაიმე შვილო, ეს რა მიყავი, რათ გამიქრე იმედი,—მოსთქვამდა საზარლად უბედური დედა. ქეთინო ვერ მიმხვდარიყო თუ რა იყო მიზეზი დედის ასეთი ტირილისა და გაშტერებული დიდხანს უყურებდა უხმოთ და თანაც უკვირდა, რატომ წითელი კაბა არ მოუტანა დედამ.

— დედი, დედი,—მოთმინებითან გამოსული ქეთინო მივიდა დედასთან,—რატომ წითელი კაბა არ მოგიტანე?—მართამ ამის გაგონებაზე ძლიერ შეღრიალა, პატარა გოგონას ხელები მოხვია და მწარედ წამოიძახა: „სანდროს სამარეში თან წაუღია“.

ვანო საათაშვილი.

# ჩვენებური ამბები

**დ. სამტრედია.** აქაურ ბაზრის „ვექილებს“ შაბათს, 26 აპრილს ღამით, დასიზმრებიათ, ვითომ ისინი კანცელარიის აივნიდან არწმუნებდნენ ხალხს, თავის ,,გამოკვლევებში'', რომელიც იმათ აღმოაჩინს სამტრედიის დაწყებითი სკოლის ფოდრიაჩის შენგელიას მოქმედებაში, რომ ამ დროს უცებ შეიქნა ჭექა-ქუხილი. ცა მოიღრუბლა, თავს მოულოდნელათ დაეცათ ი. შენგელია და ვექილებიც შთაინთქნენ სტიქიონის ტალღებში. მეორე დღეს მართლაც აუსრულდათ ეს სიზმარი.

აქაური ორ-კლასიანი სკოლის ზედამხედველი ბ-ნი ნაკუპაია და ს. წ—ლი ამას წინეთ უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ და პოლიციამ ენერგიული ზომები მიიღო მათ აღმოსაჩენად. დიდი ძებნის შემდეგ ისინი აღმოაჩინეს ჩ—ძითურთ სამტრედიის კლუბის ერთ-ერთ ოთახში, ბაქარაში ჩაფლული. მღვდელმა პ. კ—მა პანაშვიდი გადაიხადა ადგილობრივ მოწაფეების თანადასწრებით.

აქაურ წარმოდგენების მმართველ წრეს გადაუწყვეტია—წარმოდგენების მართვა გადადვას 5 წლით, რადგან დავიღალეთ და დასვენება გვჭირიაო. ეჭვი არაა მათი ორგანიზმი ამხნის განმავლობაში შესამჩნევათ გამოკეთდება. აქაურ მომღერალთა გუნდს გადაუწყვეტია ეს ზაფხული ბაყაყებს დაუთმონ, რადგან მათი ხმა უფრო შესაფერ 'მთაბეჭდილებას ახდენს ხალხზე, ვიდრე გუნდის.

შუ—შუ...

**ხაშური.** ადგილობრივმა მასწავლებლებმა (გიმნაზიისა, და რკინის გზის და ზემოქალის მასწავლებლებმა) განურჩევლად წლოვანებისა, სქესისა, წოდებისა, მიმართულებისა და სარწმუნოებისა, თხოვნით მიჰმართეს, ვისაც ჯერ არს: რკინის გზის ხიდზე ნაშუალამევს საშინელი ქარი ჰქრის და ჩვენ კი ამ დროს რკინის გზის კლუბიდან მოვდივართ ლოტოს თამაშის შემდეგ და იძულებული ვართ მაზე გადავიდეთ; უკმეხი ქარი კი ზედ ცხვირთან გვეჩხირება, ბლომად გვაცემინებს ცხვირს და ყოველთვის სურდო გვჭირს, ცხვირის ნესტოები მუდამ გაწითლებული და გაბერილი გვაქვსო. სთხოვენ ფიცხელი ზომების მიღებას ცივი ქარის წინააღმდეგ.

ახო.

# სამტრედიისათვის

(გამოცანა)

მაღალ-მაღალი, წვრილ-წვრილი,
ულვაშ-გაცქიტინებული,
გამოცდილი ყველაფერში
ვექილია—გამოქნილი.
თავს იდვა და დაარსა—

საქორწინო იმან კასა
იქ იწვევდა საქორწინოდ
ახალგაზრდა ქალს და კაცსა.
მყის შეიქნა მაშვალობა
სულ მოკლე და მცირე ხანში
ჯიელებთან სხვაც გათხოვდა
მრავალი შესული ხანში,
და როდესაც ფული სთხოვეს
საქორწინო კასის მმართველს,
ყველას ზურგი შეაქცია
არ იღებდა იგი მნახველს.
და აშგვარად იმან ბევრი—
ხალხის ფული ჩაიჯიბა
(აქა გთხოვთ, რომ გაიხსენოთ—
თქვენ ფოთელი აჯიბაბა)
კასა ჩქარა გარდიცვალა,
განუტევა თვისი სული
და წევრები მომტირალნი
დარჩნენ მშრალზე გარიყული.
და ეშმაკო ლატოსანო
ეს ამბავი მოიყურე—
მოდი ერთი შენი ლახტით
მას გვერდები შეუხურე...

**შენც-ქე იცი**

# დ ე პ ე შ ა

**ჩიბათი.** მიიღება ხელის მოწერა დიდებულ მგოსნის, ,,შხანკოლას'' სრულს თხზულებაზე, რომელიც გამოვა ოც ტომათ. თითო ტომი ეღირება ორი კაპეიკი. ხელის მოწერა მიიღება ავტორთან ს. ჩიბათში.

ჩიბათის სამკითხველოს აუარებელი ჟურნალ-გაზეთები მოსდის, მაგალითად: ,,მერცხალი'' „სიმართლის ხმა“ „თანამდროვე ქვეყანა„ ,,სხივი'',„განთიადი“,„ელვა“„აზრი“ და მრავალი სხ.

**ლანჩხუთი.** სადგურის უფროსი ხუმარიანი ეიმისთვის იღებს ბევრ ქანქარს, რომ მას და ტ. - გასპარიანცს პირობა ჰქონიათ დადებული, რომ ტფილისში გახსნან ფართლეულობის მაღაზია. მასწავლებელი თამარა მგელაძე, როგორც გავიგე, სამსახურს თავს ანებებს, ვინაიდგან ადგილიდან გაადევეს მისი არხი-მფარველი ტერ-გასპარიანცი. ის და გასპარიანცი შეუდგებიან ადგილის ძებნას ამერიკის შეერთებულ შტატებში

**ნიბოლითი.** მოკლე დროში ვანო სამსონია წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „სიყვარული და მისი შედეგი“. ხოლო ამირანდო ხალვაში ლიქციის შემდეგ იმღერებს სოლოს „მიჩოჩავს“. თა—რა.

**დ. საჩხერე.** აქ გაიხსნა მუქთა ხორათა მოქეიფეების კურსები. ლექტორად მოიწვიეს პოლისკაპრე კიმანწარაშვილი. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ კურსების ბინაზე მისამართი შემდეგი აღრესით: თითის-კვნტოვსკი პროხოდ, ჩერეზ ეზოში, ნალესტნიცე ბუდეშ ტამ.

ორ-ნახევარი წელიწადია, რაც აქ ფარნები გამართეს, მაგრამ ეხლანდელი უფროსების ბრძანებით, მარკოზა მეფარნე დღისით ანთებს ფარნებს, რადგან ქარის სიძლიერით, და მეტის სიბნელით ღამე ვერ აგნებს ფანრების ბოძებს. ლაბა.

**დიდი-ჯიბაიში.** გადაწყვეტილია, ლევან ჭილაძის მაღაზია კლუბათ გადააკეთონ. შესაფერი თხოვნა უკვე გაიგზავნა სადაც ჯერარს. კლუბის მამასახლისად ასახელებენ ვასილ ჭეიშვილს და როგორც აბბობენ მომხრეებიც ბევრი ჰყოლია. ?

**იძიდანვე.** „ლახტის“ № 6-ში მოთავსებულმა მესტვირულმა, როგორც სარწმუნო წყაროებიდგან გივიგეთ, ჩვენ სულიერ მამებზე, სერგოზე და ივანე მეთვალყურეზე, ძლიერ ცუდი გავლენა იქონია. უკანასკნელს, დამსწრეთა გადმოცემით, წაკითხვის დროს გულიც კი შესწუხებია და იღბლათ მოსე ფერშლის წყალობით სიკვდილს გადარჩენილა გადაუწყვეტიათ: მამებმა დღეიდგან მღვდელ მოქმედობის შესრულებისათვის აღარ ივაჭრონ; სერგომ წრეულს ამაღლება არ გადაიხადოს და ივანემ კი ამიერიდგან ხუხვას თავი დაანებოს. ?

# გ ა ს ა რ თ ო ბ ი

გამწარებულმა გლეხებმა, მიწა რომ ხელიდან ეცლებოდათ, ერთ დასელს, როგორც ხალხის მოსარჩლეს მიჰმართეს და ჰკითხეს:

— რა ვქნათ, მიწა რომ შევინარჩუნოთ?

**დასელმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ცხვირი მაღლა ასწია და ორგინალური რჩევა მისცა:**

— გაჰყიდეთ მიწა და შეუერთდით ქალაქის ბოგანო ხალხს.

—

გამოჩენილ მხატვარმა ანდრეას მანტინეუსმა პაპის ინოკენტი მე-7 ბრძანებით სურათი დახატა, რომელშიაც გამოყვანილი იყო შვიდი უმთავრესი ცოდო და შვიდი უმთავრესივე ქველობა.

სასყიდელი, რომელიც პაპმა დაუნიშნა ამ სურათისათვის, მეტად მცირედ ეჩვენა ბხატვარს და ამიტომ ცბიერად შენიშნა პაპს:

— ეგ სურათი ჯერ სრულიად მოსრულებული არ არის, და აკლია კიდევ მერვე ცოდო — ეგ გახლავთ უმადურობაო.

— მაშასადამე თანასწორობისათვის, თქვენ მოუმატეთ ქვეყობას მერვე თვისებაც—ეგ არის მოთმინებაო.

—

აბატი ვუაზენონი მეტა გონება მახვილი კაცი იყო და ერთხელ მეფემ სადილად მოიწვია თავის სასახლეში, მაგრამ აბატს დაჰვიწყებოდა და ვერ დაესწრო მეფურ სადილს მეფეს ეს ძრიელ ეწყინა და როცა აბატი ვუაზენონი შეხვდა სასახლეში, წყრომის ნიშნად ზურგი შეაქცია.

ვუაზენონი არ შეჰკრთა და ხმამაღლა სთქვა:

— სიამოვნებით ვხედავ, რომ თქვენი დიდებულება ჩემზე არ სჯავრობს; თქვენ არა დროს ზურგი არ გიჩვენებიათ თქვენი მტრებისათვისაო.

მეფეს გაეცინა და აპატია აბატს.

—

— რა მიზეზია,—ჰკითხეს ერთხელ გამოჩენილ მწერალს მილტონს,— რომ ზოგიერთს სახელმწიფოში შესაძლებელია კაცი ტახტზე მეფედ აბრძანდეს თოთხმეტის წლისა და ცოლის შერთვა კი თექვსმეტი წლის ადრე არ შეუძლიანო?

— ეგ იმიტომ არის ასე, მიუგო მილტონმა, რომ ბევრად ადვილია მთელი სახელმწიფო განაგოს და მართოს კაცმა, ვიდრე ერთი ქალი მორჩილებაში იყოლიოსო...

№ 336
1914/3



## ახალი გამოგონება

გაზეთებმა ამ დღეებში გვამცნეს, რომ თ-დ ირაკლი ვასილის ძე ვაჩნაძეს გამოუგონია ახალი მანქანა, რომელიც ამიერიდან ზღვის ზვირთებს მედგარ და სასტიკ ომს გამოუცხადებსო. ამაზე ჩვენმა თანამშრომელმა ინახულა ირაკლი ვაჩნაძის ლაბორატორია, სადაც ამ ჟამად დამზადებულია პატარა მოდელი ამ მანქანისა და აგრეთვე მზადდება ამავე მოდელის დიდი სახე.

აზრი ამ მანქანის გამოგონისა თ-დ ვაჩნაძეს დაჰბადებია ბალტიის ზღვაში მოგზაურობის დროს ერთ ქარტეხილის შემდეგ. ბევრი ცდის შემდეგ მიუღწევია სანატრელ შედეგისათვის და როგორც. მოვიხსენიეთ, მოდელი უკვე მზადა აქვს და მხოლოდ ფორმალური მხარე ღაა საპირო, ე. ი. სახელმწიფო დაწესებულებაში მიწერ-მოწერა და სხვ. მისი ფაქტიურად საქმის დაწყება. თ-დ ი. ვაჩნაძის გამოგონილი სავარძელი, დაავადებულ კაცობრიობას დღესაც დიდ სამსახურს უწევს და მოსკოვის ქარხანა „დროზდოვ-ვაჩნაძის“ ფირმით დღესაც ასაღებს.

ახლად გამოგონილი მანქანა, როგორც თვისი კონსტრუქციით და ზომით მეტად მოხერხებული და ადვილი სახმარია. მანქანის სახე წაგავს ოთხკუთხ-ყუთს; წონით ეს ყუთი უბრალო მდინარისთვის, როგორც მგალითად ჩვენი მტკვარია, უდრის არა უმეტეს 12 — 15 გირვანქას, ხოლო ოკეანესა და ზღვისათვის არა უმეტეს 25 –30 გირვანქისა. მისი შემწეობით კაცს შეუძლიან დაჰყოს მდინარეში რამდენიმე კვირას. ეს ყუთი რამდენიმე განყოფილებისაგან შესდგება. ფასიც ყველასთვის ხელმისაწდომი იქნება. ეს მანქანა თუ გარემოებამ ხელი შეუწყო მარიამობისთვის პირველ რიცხვებში მზად იქნება. ამ დღეებში თ-დი ირაკლი, მანქანის აღწერილობას და გეგმებს გზავნის სამინისტროში დასამტკიცებლად და დამტკიცების შემდეგ როგორც რუსეთისა, ისე უცხო სახელმწიფოებისაგან პატენტის აღებასაც შეუდგება.

იმედია ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს ქართველი საზოგადოება და ხელს შეუწყობს.

როგორც გაზეთებიც გადმოგვცემენ, მთელი ხარჯი ამ მიზნის დასაბოლოებლად უდრის 600 მანეთს, მაგრამ ეს გარემოება დამაბრკოლებელ მიზეზად არ უნდა ჩაეთვალოს ჩვენ ქართველ საზოგადოებას და ვაჩნაძის ნიჭს ფართო გზა უნდა მისცეს. ვინაიდან უკვდავი მგოსნისა არ ეყოს ,,ნიჭს აძღევს მხოლოდ ზენა კაცს და არა გვარიშვილობაო“.

პარ—დონ.

ტფილისი სტამბა „შრომა“ მუხრანის 1. რედაქტორ-გამომცემელი დ. მელაშვილი.